გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-63. 63252203**
თარიღი:**08/08/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის არჩევნებისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ შენობა-ნაგებობის გამოყოფის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი”-ს 45-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე–3 პუნქტის მიხედვით, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის არჩევნებისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ შენობა-ნაგებობის გამოყოფის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის არჩევნებისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოიყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის" დარბაზი (ქალაქი სამტრედია, რუსთაველის ქუჩა).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი